Environment and Society, N15, June, 2025, pp.64-98

გარე შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები გურიის რეგიონის მაგალითზე და მათი ასახვა ლოკალურ მედიაში

ავტორები:

თამარ კირკიტაძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი;

ელექტრონული ფოსტა: tamunakirkitadze26@gmail.com

მანანა შამილიშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი; ელექტრონული ფოსტა: manana.shamilishvili@tsu.ge.

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს გურიის რეგიონის მაგალითზე შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზებისა და საკითხის ადგილობრივ მედიაში ასახვის შესწავლა.

შრომით მიგრაციას სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და მრავალმხრივი გავლენის მოხდენა შეუძლია, ამასთანავე მიგრაციის მაჩვენებელი ცნობებს გვაწვდის ქვეყნის სოციოეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კვლევა აქტუალურია, ვინაიდან წლებია საქართველოში ემიგრანტთა მზარდი რაოდენობა ფიქსირდება, მიგრაციის სალდო კი ძირითადად უარყოფითია. ქვეყნის დატოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამსახურის ძიებაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შრომითი მიგრაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. საკითხის გურიის მაგალითზე კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა უფრო უკეთ გაგვეგო, თუ როგორი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაა ლოკალურ დონეზე, რა მიზეზების გამო უწევთ ადგილობრივებს რეგიონის დატოვება და რატომ ირჩევენ შიდა

მიგრაციის ნაცვლად ქვეყნიდან წასვლას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შიდა მიგრაციის შემთხვევებიც, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანი გარე მიგრაციაა. გურიის შერჩევა განპირობებულია უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლითა და დაბალი საშუალო ხელფასით. რაც შეეხება მედიასაშუალებების კვლევას, იგი აქტუალურია გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივ მედიას აღქმისა და დისკურსის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი აქვს, განსაკუთრებით ისეთ მწვავე საკითხში, როგორიც შრომითი მიგრაციაა.

გამოყენებულია თვისებრივი კვლევის კომპონენტები, კერძოდ კი ფოკუს-ჯგუფები და ნახევრადსტრუქტურურებული სიღრმისეული ინტერვიუები, რომელთა მეშვეობითაც ვიკვლიეთ მიგრაციაში მყოფი პირების, მათი ოჯახის წევრებისა და რეგიონის სხვა მოსახლეების აზრები. აგრეთვე, ადგილობრივი მედიასაშუალებების მიერ საკითხის ასახვის საკვლევად გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სიახლეს, ვინაიდან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შრომითი მიგრაციის რეგიონულ კონტექსტში შესწავლის ამსახველი აკადემიური ლიტერატურა ფაქტობრივად არ მოიპოვება, შესაბამისად იგი შემოიტანს ახალ მიგნებებსა და დასკვნებს. ინტერდისციპლინური მიდგომა დაგვეხმარა წარმოგვეჩინა, ერთი მხრივ, შრომითი მიგრაციის ფენომენი გურიის რეგიონის კონტექსტში, ხოლო მეორე მხრივ, მედიის როლი და ჩართულობა ამ საკითხის სწორი ჩარჩოებით გაშუქებაში.

საკვანძო სიტყვები: შრომითი მიგრაცია, მიზეზები, გამოწვევები, რეგიონი, ადგილობრივი მედია, მედიის როლი.

The Causes of external labour migration in the Guria region and their reflection in the local media

Authors:

Tamar Kirkitadze,

Master Digree in Media Studies, Tbilisi State University, Faculty of social and political sciences.

E-mail - tamunakirkitadze26@gmail.com

Environment and Society, N15, June, 2025, pp.64-98

Manana Shamilishvili,

Full Professor, Tbilisi State University, Faculty of social and political sciences.

E – mail - manana.shamilishvili@tsu.ge.

Abstract

The aim of the research is to examine the causes of labor migration and the coverage of the issue in the local media, using the example of the Guria region.

Labor migration can have social, economic, political, and multifaceted impacts, and migration rates provide insights into the socio-economic and political situation of the country. The study is relevant, as the growing number of emigrants in Georgia has been recorded for years, with the migration balance mostly being negative. One of the main reasons for leaving the country is the search for employment, indicating that labor migration is a significant issue for us. The research, using the example of Guria, has allowed us to better understand the local situation, the economic and social conditions, the reasons why locals are forced to leave the region, and why they choose to migrate abroad rather than relocate within the country. It should also be noted that cases of internal migration are frequent, however, at this stage, our subject of interest is external migration. Guria was chosen due to its high unemployment rate and low average salary. As for the media analysis, it is relevant because local media plays a key role in shaping perception and discourse, especially on critical issues such as labor migration.

Regarding the research methodology, qualitative research components were used, specifically focus groups and semi-structured in-depth interviews, through which we explored the opinions of migrants, their family members, and other residents of the region. Additionally, to analyze how local media covers the issue, we applied the method of qualitative content analysis.

This research represents a novelty, as there is virtually no academic literature in Georgian scientific discourse focusing on the study of labor migration in a regional context. Therefore, this study will contribute new insights and conclusions. The interdisciplinary approach helped us present, on the one hand, the phenomenon of labor migration in the context of the Guria region and, on the other hand, the role and involvement of the media in covering the issue with appropriate framing.

Keywords: labor migration, reasons, challenges, region, local media, role of media.

პრობლემის დასმა და საკითხის აქტუალობა

შრომითი მიგრაცია გლობალური მნიშვნელობის მქონე საკითხია, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ინდივიდებსა და საზოგადოებაზე. თავდაპირველად, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, საქართველოსთვის ამ საკითხის მნიშვნელობის შესახებ. ჩვენთვის უმუშევრობა და სიღარიბის ზღვრული მაჩვენებელი უცხო არ არის, რის გამოც ემიგრანტები ყოველთვის მრავლად გვყავდა. შრომითი მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის სხვადასხვა სექტორის განვითარების დონესთან, რაც საკითხის შესწავლას კიდევ უფრო საჭიროს ხდის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2023 წლის მონაცემებით მიგრაციული სალდო უარყოფითია და -39 207-ს უდრის, რაც იმის მანიშნებელია, რომ მიგრაცია საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ის გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, კვალიფიციური კადრების არსებობაზე და ა. შ.

საქართველოში უმუშევრობის დონე 2023 წელს 16,4% იყო, ხოლო მიმდინარე წლის III კვარტალში 13,8%-ს შეადგენდა. მიუხედავად შემცირებული მაჩვენებლისა, იგი მაინც მაღალია, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება კონკრეტული რეგიონების მონაცემებზე დაკვირვებით. ჩვენი კვლევის ობიექტია გურიია, სადაც უმუშევრობის დონე 2022 წელს 12,3 %-მდე შემცირდა, თუმცა 2023 წლისთვის ეს მონაცემები 16,1%-მდე გაიზარდა, დასაქმების

დონე კი 48,4%-დან 43,6%-მდე შემცირდა. გარდა ამისა, გურიაში საშუალო ხელფასი 2024 წლის III კვარტალში 1180,3 ლარია (საქსტატი, 2024), რითაც იგი მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმს (1079,3) უსწრებს და საგრძნობლად ჩამორჩება მეზობელ აჭარას (1638.5), რომელიც გურიის მსგავსად საკურორტე ზონაა. ვინაიდან შემოსავალი პირდაპირაა დაკავშირებული შრომით მიგრაციასთან, ცხადია დაბალი ანაზღაურების არსებობა აჩენს იმის ფიქრის საფუძველს, რომ გურიისთვის შრომითი მიგრაცია მწვავე პრობლემაა. მოცემული მონაცემები საკითხის შესწავლის მნიშვნელობასაც ზრდის.

გარდა დაბალი სახელფასო მაჩვენებლისა, გურიის შერჩევა განპირობებულია სხვა რამდენიმე მიზეზითაც. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკურორტე რეგიონია, აქ არის როგორც ზღვის, ისე სამთო საკურორტე ზონები. გარდა ამისა, გურია ციტრუსისა და თხილის მწარმოებელია, რაც პირდაპირპროპორციულად უნდა აისახებოდეს მოსახლეობის შემოსავალზე. მიუხედავად საკურორტე და აგრარული მეურნეობის შესაძლებლობებისა, რეგიონში არსებული დაბალი საშუალო ხელფასი აჩენს ინტერესს იმისა, თუ როგორია გარე მიგრაციის მდგომარეობა, რა მიზეზებით ტოვებენ ადამიანები ადგილს, სადაც საკუთარი ბიზნესის წარმოება შეუძლიათ.

მედიას საზოგადოების აზრის ფორმირების ძალა შესწევს, მისი როლი განსაკუთრებით მკვეთრია, როცა საქმე მიგრაციის მსგავსი მნიშვნელობის მქონე საკითხებს ეხება. რეგიონში მოსახლეობის აზრის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი მედია, რომელიც ლოკალურ დონეზე მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშემწყობი უნდა იყოს. საინტერესოა თუ როგორ აისახება ადგილობრივ მედიაში გურიაში მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და რა ფორმით შუქდება ეს საკითხი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არცთუ ისე მრავლადაა რეგიონული კონტექსტის კვლევები, განსაკუთრებით კი ლოკალური მედიის შესახებ.

მედიის კომპონენტის შემოტანა ადასტურებს იმას, რომ კვლევა მულტიდისციპლინურია, სწორედ ამგვარმა მიდგომამ და ორმაგმა ლოკალურმა არჩევანმა მოგვცა შესაძლებლობა ჩავიდეთ საკითხის სიღრმეებში, რამაც ჩვენს კვლევას მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება შესძინა.

კვლევის დიზაინი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს გურიის რეგიონის მაგალითზე შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზებისა და საკითხის ადგილობრივ მედიაში ასახვის შესწავლა. გურიიდან ხშირია შიდა მიგრაციის შემთხვევები, თუმცა ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია ქვეყნის გარეთ მიგრაციაზე. წარმოდგენილი კვლევის ობიექტები არიან, ერთი მხრივ თავად ემიგრანტები, ხოლო მეორე მხრივ, მათი ოჯახის წევრები და აგრეთვე სხვა ადგილობრივები, რომლებიც არც თავად არიან და არც ჰყავთ ემიგრანტი ოჯახის წევრები. გარდა ამისა, საკვლევი ობიექტია ადგილობრივი მედია, ვინაიდან გვაინტერესებს, თუ როგორ მუშაობს იგი გურიის რეგიონში მიგრაციის გამომწვევი მიზეზების ასახვის კუთხით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

***A1**. რა ძირითადი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები განაპირობებს შრომით მიგრაციას გურიის რეგიონში?*

***A2.** როგორ შუქდება აღნიშნული გამომწვევი მიზეზები ლოკალურ მედიაში?*

ხოლო კვლევის ამოცანები შემდეგია:

***B1.** შევისწავლოთ მიგრანტების, მათი ოჯახის წევრებისა და გურიის სხვა მოსახლეების აზრი შრომითი მიგრაციის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით;*

***B2.** დავაკვირდეთ ადგილობრივ მედიას და კონტენტ-ანალიზის მეშვეობით დავადგინოთ როგორ შუქდება მიგრაციის გამომწვევი მიზეზები;*

საკვლევი პერიოდი განისაზღვრა 2024 წლის 1-ელი ივნისიდან 2024 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, სწორედ ამ დროში ვიკვლიეთ შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ლოკალური მედიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მართებულად მივიჩნიეთ, რომ მედიასაშუალებების საკვლევ პერიოდად აგვეღო ორი წელი და გაგვეანალიზებინა 2023-2024 წლის მასალები. ხანგრძლივი პერიოდი ამცირებს საკვლევი მასალის სიმცირის შანსს და მივყავართ უფრო რელევანტურ შედეგებამდე.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შეირჩა ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც ერთი მხრივ, წარმოაჩენს შრომითი მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებს გურიის მაგალითზე, ხოლო მეორე მხრივ, გვაჩვენებს მის ასახვას

რეგიონულ მედიაში. საკითხის სრულყოფილად შესასწავლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, ვინაიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია შინაარსის კვლევა.

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან ფოკუს-ჯგუფი და ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ შეირჩა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარებამ შესაძლებლობა მოგვცა ადეკვატურ დროში მოგვეგროვებინა საჭირო ინფორმაცია და აგრეთვე, უფრო ღრმად ჩავწვდომოდით შრომითი მიგრაციის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ფაქტორებს. ჯგუფური დისკუსიები უკეთ წარმოაჩენს წევრების პოზიციებს, როგორც წესი დისკუსიის დროს უფრო მეტად იხსნება ადამიანი და იმის შანსიც იზრდება, რომ ისინი უფრო ვალიდურ ინფორმაციას მოგვაწვდიან, ვიდრე მასობრივი გამოკითხვისას. სწორედ ამ ინტერესებმა განაპირობა გარკვეულწილად ისიც, რომ ჩვენი კვლევისთვის მეტად შესაფერისი და ეფექტური ფოკუს ჯგუფები აღმოჩნდა და არა მასობრივი გამოკითხვა.

ფოკუს-ჯგუფებისთვის შერჩეული რესპონდენტები დავყავით ორ დიდ კატეგორიად, ერთში გავაერთიანეთ ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრები იმყოფებიან მიგრაციაში, ხოლო მეორეში- დანარჩენები. ამგვარმა კატეგორიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა სრულფასოვნად დაგვენახა გამომწვევი მიზეზები, განწყობები, მსჯელობები და განსხვავებებიც კი, ამ ორი ჯგუფის მოსაზრებებს შორის. გარდა ამისა, თითეული კატეგორია დავყავით ასაკობრივ ჯგუფებადაც, რათა შეგვძლებოდა ყველა თაობის მოსაზრების მოსმენა. ჯამში ჩატარდა 6 ფოკუს ჯგუფი:

- 18 დან 30 წლამდე პირები, რომელთა ოჯახის წევრები იმყოფებიან შრომით მიგრაციაში
- 31 დან 60 წლამდე პირები, რომელთა ოჯახის წევრები იმყოფებიან შრომით მიგრაციაში
- 60+ პირები, რომელთა ოჯახის წევრები იმყოფებიან შრომით მიგრაციაში
- 18 დან 30 წლამდე პირები, რომელთა ოჯახის წევრები არ იმყოფებიან შრომით მიგრაციაში
- 31 დან 60 წლამდე პირები, რომელთა ოჯახის წევრები არ იმყოფებიან შრომით მიგრაციაში

- 60+ პირები, რომელთა ოჯახის წევრები არ იმყოფებიან შრომით მიგრაციაში

რაც შეეხება თავად შრომით მიგრაციაში მყოფი პირების აზრის კვლევას, გამომდინარე იქედან რომ მათ ყველაზე უკეთ იციან რის გამო მოუწიათ რეგიონისა და ქვეყნის დატოვება, მათი გამოცდილების და დამოკიდებულების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, არჩევნი შევაჩერეთ ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდზე. შეირჩა 15 ემიგრანტი, მათგან 5 რესპონდენტი 18-დან 30 წლამდე, 5- 31-დან 60-მდე, ხოლო 5- 60+ ასაკობრივ კატეგორიაში.

რესპონდენტებს კვლევაში ჩართვამდე ეცნობათ, რომ მათი პასუხები გამოყენებული იქნება განზოგადებული სახით საერთო სურათის შესაქმნელად, ხოლო კონკრეტული მაგალითების ან ციტატების გამოყენებისას დაცული იქნება ანონიმურობა.

რაც შეეხება უშუალოდ საკითხის რეგიონულ მედიაში ასახვის კვლევას, ამ მხრივ შეირჩა თვისებრივი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. გამოვიყენეთ არაალბათური მიზნობრივი შერჩევა და საკვლევად ავიღეთ „გურიაTV“ და „გურიანიუსი“, ვინაიდან გურიაში ცნობადობით ძირითადად ეს ორი მედიასაშუალება სარგებლობს. თვისებრივმა მიდგომამ, შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა გაშუქების შინაარსი და კოდირება-კატეგორიზაციის გზით გამოგვეყო მასალების ტონი, ეთიკურობა, ბალანსი და ჩარჩოები, რომლებშიც მედია შრომითი მიგრაციის საკითხებს ათავსებს.

გარდა ამისა, კვლევა მოიცავს მეორეული დოკუმენტების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც მოვიძიეთ სხვადასხვა წლის სტატისტიკური მონაცმები უმუშევრობის დონის, ანაზღაურებისა და სხვა ეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რამაც საშუალება მოგვცა კიდევ უფრო ნათლად დაგვენახა შრომითი მიგრაციის მიზეზები. საბოლოოდ კი, მრავალმხრივი კვლევის მეთოდების გამოყენებამ, საჭირო მიგნებებამდე მიგვიყვანა. კვლევის ყოველი ამოცანა შესრულდა ზედმიწევნით, მაქსიმალური სიზუსტისა და ეთიკის დაცვით.

ლიტერატურის მიმოხილვა

შრომითი მიგრაცია, ეს არის გადაადგილება დასაქმებისა და შემოსავლის მიღების მიზნით (ჭელიძე, ტუხაშვილი, 2021). იგი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისგან თავდაღწევისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებაა, რომლის

ეფექტიანობაც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ასაკზე, სქესზე, განათლებაზე, გამოცდილებაზე, პროფესიულ მომზადებასა და სხვა (ჭელიძე, 2006).

შრომით მიგრაციას შესაძლოა ჰქონდეს მრავალფეროვანი მოტივები, მაგალითად არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური ფაქტორები და ოჯახის გავლენაც კი (Martin. P. L, 2013). ძირითადად შრომითი მიგრანტები გადაადგილდებიან დასაქმებისა და უკეთესი სამუშაო პირობების პოვნის მიზნით, თუმცა მნიშვნელოვანი მიზეზებია განათლებაზე, ჯანდაცვასა და ზოგადად ცხოვრების მაღალ ხარისხზე ხელმისაწვდომობის სურვილი. კიდევ ერთი გამომწვევი ფაქტორია მიგრანტთა ქსელი, რომელსაც საზღვარგარეთ დასაქმებული ადამიანები ქმნიან, ისინი გავლენას ახდენენ ნაცნობებზე და ეხმარებიან მათ საზღვარგარეთ დასაქმებაში (Yaohui Z, 2003). მიგრანტთა ქსელი იკვლია თამარ ზურაბიშვილმაც, რომელიც აღნიშნავს, რომ პოტენციური ემიგრანტების ქვეყნიდან წასვლაში ეს ქსელი გადამწყვეტ როლს ასრულებს (ზურაბიშვილი, 2007).

ცნობილი მეცნიერის, პიტერ სტოკერის აზრით, შრომითი მიგრაციის კონკრეტულ მიზეზებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია განვხილოთ ინდივიდუალური, სტრუქტურული და სისტემური მიდგომა. ინდივიდუალური მიდგომის მიხედვით ადამიანი აღიქმება ინვესტიციების პროდუქტად, რომელიც დაბანდების საუკეთესო ადგილს ეძებს. სტრუქტურული მიდგომის მიხედვით, ადამიანი მოქცეულია კონკრეტული სტრუქტურის ფარგლებში, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა. ამ სტრუქტურების მოწყობამ შესაძლოა „გააგდოს“ იგი, ხოლო „მიიზიდოს“ მის, ან უცხო ქვეყანაში არსებულმა სხვა სტრუქტურებმა. ეს მიდგომა აიხსნება ქვეყნებს შორის განვითარებისა და ეკონომიკური დონის უთანაბრობით, მაგალითად როცა პიროვნება ხედავს სხვა ქვეყნის სტრუქტურებს და ფიქრობს, რომ მათში ბევრად უკეთ იქნება. მესამე, სისტემური მიდგომა კი შრომით მიგრაციას განიხილავს კაპიტალისა და საქონლის მსოფლიო მოძრაობის კონტექსტში (Stocer, P, 1978).

საინტერესოა თუ რა შედეგებს გვიჩვენებს საერთაშორისო კვლევები და რა იწვევს შრომით მიგრაციას დედამიწის სხვადასხვა წერტილში. საერთაშორისო ორგანიზაცია IOM-ის მიერ გამოქვეყნებული „მსოფლიო მიგრაციის რეპორტი 2024“, რომელიც 2022 წელს დაწყებული პროექტის ფარგლებში გამოიცა, დეტალურად მიმოიხილავს გლობალურ

მიგრაციას, შესაბამისად, მის ფოკუსში ხვდება შრომითი მიგრაციაც. ანგარიშში გაანალიზებულია სხვადასხვა წლის მდგომარეობა და სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით, შრიმითი მიგრაცია მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები ეკონომიკური და პოლიტიკურია, აგრეთვე იგი არ არის მხოლოდ ინდივიდუალური არჩევანი, არამედ ხშირად განპირობებულია გლობალური და რეგიონული ცვლილებებით. ანგარიშის აკადემიურ ღირებულებას ზრდის ის ფაქტი, რომ მასში მოცემულია უახლესი მონაცემები, რომლებიც გაანალიზებულია გასული წლების მდგომარეობასთან მიმართებით.

შრომითი მიგრაციის შესახებ ფუნდამენტურ ინფორმაციას გვაწვდის ILO-ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) კვლევები, მაგალითად "World Employment and Social Outlook: Trends 2022" ყურადღებას ამახვილებს გლობალური შრომითი მიგრაციის ტენდენციებზე, კერძოდ კი ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მიგრაციის მასშტაბებზე. ორგანიზაცია ცნობებს გვაწვდის ცალკეულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებაც, მაგალითად 2016 წელს „Labour migration in Central and Eastern Europe"- ში ევროპის შესახებ წერდა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციას და სწორედ სამუშაო ადგილების ნაკლებობამ აიძულა ბევრ ადამიანს შრომით მიგრაციაში წასვლა. აქვე ორგანიზაცია ასკვნის, რომ ალბანეთის სამუშაო ძალის 40%, ხოლო მოლდოვის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მეოთხედი მუშაობს საზღვრებს გარეთ. 2021 წელს კი „Strong recovery and the same labour market challenges as befire the pndemc" -ში ვკითხულობთ, რომ ალბანეთში დასაქმების მაჩვენებელი გაუმჯობესდა და 20-დან 64 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში 66%-ს შეადგენს, თუმცა იგი მაინც მნიშვნელოვნად დაბალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე (75%), შესაბამისად შრომითი მიგრაცია აქ კვლავ გამოწვევად რჩება.

"Economic Causes and Consequences of international Migration of Labour" (Palat, M. 2011) მნიშვნელოვანი აკადემიური ნაშრომია, რომელიც აერთიანებს ფაქტებს შრომითი მიგრაციის მოტივაციასთან დაკავშირებით და ხსნის მათ გავლენას მიკროეკონომიკურ დონეზე. ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში მიგრაციის მაჩვენებლისა და უმუშევრობის დონეს შორის კავშირის დადგენს

რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ კი ავტორმა გამოიყენა რეგრესიის და კორელაციური ანალიზის მეთოდები, შედეგებზე დაყრდნობით კი გამოიტანა დასკვნა, რომ ჩეხეთისა და უნგრეთის მაგალითზე ამ ორ ცვლადს შორის აშკარად არსებობს კორელაცია, თუმცა გამოთვლილი კორელაციის ინდექსები პოლონეთსა და სლოვაკეთში შეფასდა, როგორც სტატისტიკურად უმნიშვნელო. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა რამდენიმე წლის უკან ჩატარდა, იგი დღესაც რელევანტური და საინტერესოა განსაკუთრებული მეთოდებითა და მიღებული შედეგებით. იგი კიდევ უფრო ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ უმუშავრობა შრომითი მიგრაციის მთავარი გამომწვევი ფაქტორია.

საინტერესო აკადემიური ნაშრომია "The causes of labour migration" (Hutton, C.2024), რომელიც ეხება აფრიკაში არსებულ შრომითი მიგრაციის პრობლემას. ავტორი აღნიშნავს, რომ სოფლებსა და რეგიონებში ადამიანთა რესურსები არ გამოიყენება სწორად, მათ არ ეძლევათ ფინანსური განვითარების შესაძლებლობა, რის გამოც უწევთ საკუთარი შრომა სხვაგან „გაყიდონ", გადავიდნენ ქალაქებში ან სხვა რეგიონებში, შედეგად კი დაცარიელებული სოფლები რჩება საჭირო სამუშაო ძალის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის კვლევის საგანს ძირითადად შიდა მიგრაცია წარმოადგენს, ეს სტატია ჩვენს კვლევასთან განსაკუთრებით ახლოსაა, ვინაიდან საინტერესოა თუ რამდენადაა გურიის რეგიონში მსგავსი პრობლემა და ეძლევათ თუ არა ადგილობრივებს ფინანსური განვითარების შესაძლებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არამხოლოდ ამ უკანასკნელმა, არამედ ზემოთ განხილულმა ყველა აკადემიურმა ნაშრომმა გვაჩვენა საერთაშორისო პრაქტიკა და მიგრაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, რომელთა ცოდნაც კიდევ უფრო დაგვეხმარება კონკრეტულად გურიის რეგიონის მაგალითის კვლევაში.

ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია მედიაში, კერძოდ კი რეგიონულ მედიასაშუალებებში საკვლევი საკითხის ასახვა. მედიას საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, თემა, რომელიც მის ფოკუსში ხვდება და აუდიტორიას გადაეცემა, ატარებს გარკვეულ მესიჯს, სწორედ ამ მესიჯს აქვს აზრის ფორმირებისა და ჩამოყალიბების ძალა. მედია გავლენას ახდენს ადამიანის აღქმაზე, კონკრეტული თემის შესახებ. მას ქცევების, გრძნობისა და დამოკიდებულებების შეცვლის ძალაც აქვს(Mitu. B. M, 2011). აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ისევე როგორც სხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების

გაშუქებით, მედიას შრომითი მიგრაციის გაშუქებითაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა შეუძლია. ლოკალური მედია კი ის მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც სწორი გაშუქებით შრომითი მიგრაციის შესახებ რეგიონის მოსახლეობის ინფორმირებისკენ უნდა იყოს მიმართული.

აკადემიურ ლიტერატურაში მრავლად იძებნება ნაშრომები, რომლებშიც მედიის მიერ გაშუქებული შრომითი მიგრაციაა გამოკვლეული და წარმოჩენილია ის, თუ როგორ, რა ჩარჩოებით აშუქებს ამა თუ იმ ქვეყნის მედია საკითხს. მაგალითად გერმანიაში მედიის გაშუქება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიგრაციის მაჩვენებელზე, გაშუქებისას ამ ტიპის მიგრაცია ხშირადაა განხილული უმუშევრობის კონტექსტში (Benesch CH, 2019).

თეორიულ ჩარჩოდ შეირჩა ფრეიმინგის თეორია, ვინაიდან ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ იმის დადგენაა, თუ რომელ ჩარჩოებს იყენებენ ადგილობრივი მედიასაშუალებები შრომითი მიგრაციის გაშუქებისას. ავტორია სოციოლოგი ირვინ გოფმანი, რომელმაც აღნიშნული თეორია შემოგვთავაზა თავის წიგნში სახელად „ჩარჩოს ანალიზი“ (1974). იგი მოიაზრებს იმ ფოკუსით გაშუქებას, რომ აუდიტორიის ყურადღება საკითხის კონკრეტული ასპექტისკენ მიმართოს. ფრეიმების მეშვეობით გადაცემული მესიჯებით მედია ახერხებს საზოგადოების აზრის ფორმირებას (ჯემისონი, ვალდმენი, 2003). ფრეიმები გვაჩვენებენ თუ რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ისინი ასევე შეიცავენ მორალს, აყენებენ პრობლემას, გვაჩვენებენ ამ პრობლემაზე პასუხისმგებელ პირებსა და პრობლემის გადაჭრის გზებსაც (Entman, 1993). ზოგჯერ ჟურნალისტები თავისდა უნებურადაც ქმნიან ფრეიმებს „ამბების გადმოცემისა და ამბების საზოგადოების მიერ განსახილველ მოვლენად გარდაქმნის დროს“ (Gitlin & Touchman, 1980).

კვლევის შედეგები

ემიგრანტთა პირადი გამოცდილება- სიღრმისეული ინტერვიების შედეგები

გურიის რეგიონიდან შრომით მიგრაციაში მყოფმა რესპონდენტებმა გაგვიზიარეს მოსაზრებები და პირადი გამოცდილება, რომელიც ყველაზე უკეთ გვიჩვენებს რეგიონში მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს. შეგახსენებთ, რომ ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ სხვადასხვა ასაკის 15 ემიგრანტთან ჩატარდა. ყველა რესპონდენტი

შრომითი მიგრაციის გამომწვევ მთავარ მიზეზად ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს, ზოგი კონკრეტული მიზნით წავიდა, ზოგიც- უმიზნოდ, ზოგი განსაზღვრული დროით, ზოგიც- განუსაზღვრელით, თუმცა ყველას აერთიანებს საერთო სურვილი- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ წასვლამდე ყველა შესაძლო გზას მიმართა, თუმცა გამოუვალი მდგომარეობის გამო ქვეყნის დატოვება მოუწია. ისინი გვიყვებიან, რომ ემიგრაციაში წასვლა სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გადაწყვიტეს, ზოგისთვის ეს იყო ბინის შეძენის, შვილის სწავლის საფასურის გადახდის, ან კარიერული წინსვლის სურვილი, თუმცა უმეტესი მათგანისთვის მთავარი მიზეზი ოჯახისთვის საკვების, ტანსაცმლის, სხვადასხვა ნივთის გამოგზავნის და საბანკო ვალდებულებების გადახდის აუცილებლობა აღმოჩნდა. აღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ ჩვენი რესპონდენტები, გურიაში ცხოვრებისას, ზოგჯერ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებდნენ, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება.

გამოკითხულები ყველაზე მეტად ხაზს უსვამენ სამუშაო ადგილების სიმცირეს, მათი თქმით, გურიაში თანაბრად უჭირს დასაქმება როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების მქონე პირებს, ვინაიდან სამუშაო ადგილები ან საერთოდ არ არის, ან ანაზღაურებაა მიზერული. რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მიუხედავად დამაკმაყოფილებელი ანაზღაურებით სამსახური ვერ იშოვა არათუ გურიის რეგიონში, არამედ საქართველოს მასშტაბითაც. დასაქმების შესაძლებლობების სიმცირეზე გვესაუბრებიან სამივე ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტები, თუმცა 60+ რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ განსაკუთრებით უჭირდათ შესაფერისი სამსახურის პოვნა.

„იმ ასაკში ვარ, რომ ქვეყნის დატოვება და სამუშაოდ უცხო მიწაზე წასვლა უკვე რთულ, საშიშ ნაბიჯად მეჩვენებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი, მანდ ჩემი ასაკის ადამიანისთვის ნორმალური სამსახურის პოვნა თითქმის შეუძლებელია, მაღაზიაშიც კი არვის ავყავართ პენსიონერები. დამლაგებლად ვმუშაობდი 300 ლარად, ყოფნის 300 ლარი შვილიშვილებს? აქამდე ბანკის სესხს ვიხდიდი, მომავალ წელს შვილიშვილი სტუდენტი უნდა გახდეს და მინდა დავეხმარო, ჯანმრთელობამ თუ დამაცადა. გურიაში ყველაფერი ეცადე,

თუმცა მთელი ცხოვრებაც რომ იმუშაო, მანდ აღებული ხელფასით ვერაფერს შეიძენ"- გვეუბნება 62 წლის ქალბატონი.

ამავე ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტები საუბრობენ მცირე საპენსიო ანაზღარურებაზე, რაც მათ მინიმალურ საჭიროებებსაც არ ჰყოფნიდა, რის გამოც მოუწიათ ჯერ რეგიონში ემუშავათ მიზერულ თანხებზე, შემდეგ კი ჯანმრთელობის პრობლემებისა და საპენსიო ასაკის მიუხედავად ქვეყნის გარეთ მოეძებნათ არსებობისთვის საჭირო შემოსავალი.

უმრავლესობამ აღნიშნა, რომ რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აგრარულ სექტორზე, თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ და სტაბილურ შემოსავალს. გურია სოფლის მეურნეობით, მეციტრუსეობითა და მეთხილეობით ცნობილი კუთხეა, რასაც ბევრი ემიგრანტი შეეძლო ეხსნა ქვეყნიდან წასვლისგან, თუმცა გამოკითხულთა თქმით, ეს რესურსები სათანადოდ არ არის გამოყენებული, აგრეთვე დაბალი ფასები, სუფსიდიების ნაკლებობა და ინფრასტრუქტურული პრობლემები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენს. გვიყვებიან, რომ გურიაში ცხოვრების დროს ბევრჯერ ჰქონიათ ისეთი წელი, როცა კარგ მოსავალს ელოდნენ და არ გაუმართლათ, ან სათანადო ფასად ვერ გაყიდეს და დაზარალდნენ. გურული მიგრანტები მიიჩნევენ, რომ ბაზარზე მათი პროდუქცია იაფად ფასდებოდა, რაც მათ სოფლის მეურნეობის განვითარების მოტივაციასა და ამ გზით ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს უკლავდა.

„ჩვენი თხილი და მანდარინი არავის აინტერესებს, განსაკუთრებით ბოლო წლებში. მანდარინი მალე ფუჭდება, ელოდები მყიდველს, კარგი ფასის გადამხდელს, ელოდები, ელოდები და ბოლოს მთლად გაფუჭებას თეთრებში ჩაბარებას არჩევ. ანალოგიურად დაბალი ფასი აქვს თხილსაც, დაბალი ხარისხის პროდუქტი არავის უნდა, უხარისხო კი მოუვლელობითაა მოსავალი. მთელი დრო და რესურსი ამის მოვლაში რომ ჩადო და არ გაიყიდოს, მერე? სოფელში ოჯახების უმეტესობა სწორედ ამ მოსავლით ირჩენს თავს და თუ ვერ გაყიდიან წლიდან-წლამდე შემოსავლის გარეშე რჩებიან. სეზონური მოსავლის იმედად ვერ ვიქნებოდი და ქვეყნიდან წავედი."- ამბობს 39 წლის მამაკაცი.

დასაქმება რომ საშუალო ასაკის მქონე ადამიანების გარდა ახალგაზრდებსაც უჭირთ, ამას მათი პასუხებიდან ვიგებთ. გვიყვებიან, რომ გურიაში ახალგაზრდებისთვის ფაქტობრივად არ არის პროფესიული წინსვლის პერსპექტივა, მათი ყველაზე პოპულარული დასაქმების ადგილი საკურორტე ზონებია, თუმცა სამსახურს არასტაბილურად მოიხსენიებენ, ვინაიდან იგი წელიწადში მხოლოდ 3-4 თვე გრძელდება. მოსახლეობა თხილისა და ციტრუსის სეზონებზეც ახერხებს დასაქმებას, თუმცა ამ ტიპის სამუშაოც დროებითია. სწორედ ამ ყოველივედან გამომდინარე, ნათელია, რომ გურიაში სამუშაო ადგილების უმეტესობა სეზონური და არასტაბილურია, რაც მოსახლეობის ფინანსურ მდგრადობას დიდ ზიანს აყენებს.

„ზაფხული რომ მოდიოდა მიხაროდა, მთელი სამი თვე ურეკში ვმუშაობდი მიმტანად ერთ-ერთ რესტორანში, დანარჩენ თვეებში ვწვალობდი, მშენებლობაზე დავდიოდი, გზის დაგებაზეც მიმუშავია, ყველგან ფიზიკური შრომა მიწევდა და ხელფასი მხოლოდ თავის გასატანად მყოფნიდა. ვერა და ვერ ვიშოვე სტაბილური სამსახური. გასულ წელს ემიგრანტი მეგობარი დამეხმარა და მასთან ჩამოვედი, ჯერ ახალი ჩამოსული მქვია, თუმცა წინ დიდი მიზნები მაქვს, რომლებსაც ჩემს რეგიონში სამწუხაროდ ვერ მივაღწიე“- ამბობს 26 წლის მამაკაცი.

ტურიზმი გურიის ეკონომიკურ საყრდენს უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ამ რეგიონში მდებარეობს, როგორც ზღვის (ურეკი და შეკვეთილი), ისე მთის (ბახმარო და გომის მთა) კურორტები, თუმცა გამოკითხულთა თქმით, ვერ გრძნობდნენ, რომ საკურორტე ზონაში ცხოვრება მათთვის რაიმე კუთხით სარგებლისმომტანი იყო, ვინაიდან აქ ბინესები უმეტესად უცხოელებს ეკუთნით და ადგილობრივებს მხოლოდ დროებით მუშა ხელად ასაქმებენ. გარდა ამისა, ადგილობრივ მცირე მეწარმეებს იშვიათად ეძლევათ საკუთარი ბიზნესის განვითარების საშუალება, რადგან ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მათ ფინანსური მხარდაჭერა, წახალისება სჭირდებათ. გვიხსნიან, რომ ადგილობრივების მცირე ბიზნესები დიდ კრიზის განიცდიან ზამთარში, როცა საკურორტე ზონები მთლიანად დაცარიელებულია, ამის გამო კი არსებობას ვეღარ აგრძელებენ. რესპონდენტთაგან რამდენიმე პირად მაგალითსაც გვიზიარებს და ამბობს, რომ ტერიტორიულად საკურორტე ზონებთან ახლოს

ცხოვრების მიუხედავად, ხელშეწყობის არარსებობის გამო, ვერ მოახერხა ბიზნესის წამოწყება.

ტურიზმის სფეროში არსებულ პრობლემებს მიგრაციის გამმომწვევ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიიჩნევენ და იმასაც აღნიშნავენ, რომ ტურიზმის განვითარებას, ისევე როგორც ზოგადად დასაქმებას, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პრობლემებიც უშლის ხელს. რესპონდენტთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა გზების ცუდი მდგომარეობა, ტრანსპორტირების პრობლემები, წყალმომარაგების, გაზმომარაგებისა და ენერგომომარაგების ნაკლებობა, რაც ადგილობრივი ბიზნესების განვითარებასაც აფერხებს. არადა კარგი პირობების შემთხვევაში, ტურისტებს საკურორტე ზონებთან ახლომდებარე სოფლებში დარჩენის საშუალებაც ექნებოდათ, ეს კი სოფლის მოსახლეობისთვისაც სარგებლისმომტანი იქნებოდა. ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურული პრობლემები დამახასიათებელია არამხოლოდ საკურორტე ზონებისთვის, არამედ ზოგადად რეგიონისთვის. რესპონდენტებს დასაქმებისთვის ხელისშემშლელად განსაკუთრებით ტრანსპორტირების პრობლემა მიაჩნიათ, ვინაიდან არაერთი სოფლიდან ჭირს სასურველ დროს გადაადგილება.

„3 წელია წამოსული ვარ, გაზი შარშან შეუყვანიათ ჩემს სოფელში, არადა ზღვასთან ახლოს ვართ. ეგ კი არა, ზაფხულში მაგალითად ჩვენი სოფლიდან დასაქმებულებს ურეკში ჩასვლაც კი უჭირთ, ხაზის ტრანსპორტის არარსებობის გამო. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ქალაქებში მიმავალ ტრანსპორტზეც, ოზურგეთის სოფლებიდან ლანჩხუთში ან ჩოხატარუში პირდაპირ ვერაფრით წახვალ, თუ ოზურგეთში მუშაობ და დილით წახვედი სამუშაოდ, საღამოს სახლში რომ გამოყვე- ტრანსპორტი აღარაა. ყველა მიზეზი ერთმანეთს დაემატა და წავედი.“- 32 წლის ქალბატონი.

რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს იმასაც, რომ ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მიგრაციის გადაწყვეყილებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა სოციალურმა, კულტურულმა და ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმაც. აღნიშნულ საკითხზე უმეტესად 18 დან 31 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტები გვესაუბრებიან, თუმცა ამასთანავე, კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე მაინც ეკონომიკურმა პრობლემებმა მიიყვანა. გვიყვებიან, რომ გარკვეული გავლენა მოახდინა სოციალური სტატუსის

გაუმჯობესების სურვილმა, სოფლებში ისინი თავს იზოლირებულად გრძნობდნენ, ვერ აღწევდნენ წარმატებას, ხოლო მედიის, სოციალური ქსელებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით საზღვარგარეთ ცხოვრება უფრო მიმზიდველად, ახალ გამოცდილებად, ახალი ცხოვრების დასაწყისად ეჩვენებოდათ, რაც მათი თქმით უმთავრესად აქაური ცხოვრებით უკმაყოფილებისგან იყო გამოწვეული.

„უმაღლესი განათლება თბილისში მივიღე, ცოტა ხნით გურიაში დავბრუნდი, თუმცა ვერც იქ მოვახერხე თავის დამკვიდრება და ვერც დედაქალაქში. ამერიკაში წამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე, უმთავრესად ფინანსური კეთილდღეობისთვის, თუმცა დიდი სურვილი მქონდა უფრო თანამედროვე, გლობლიზებულ სამყაროში მეცხოვრა, მესარგებლა უფრო ხარისხიანი ჯანდაცვისა თუ სხვა ტიპის სერვისებით. აქ თავს კარგად ვგრძნობ, ჩემს განათლებას აფასებენ და კარგი სამსახურიც მაქვს, თუმცა ძალიან მინდა, რომ საქართველოშიც, ჩემს გურიაშიც იყოს ცხოვრების მაღალი ხარისხი“– 25 წლის ქალბატონი.

ცხადია, რომ გურიის რეგიონიდან მრავლადაა შიდა მიგრაციის, თუნდაც დედაქალაქში სამუშაოს საძიებლად გადასვლის შემთხვევებიც, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს გარე შრომითი მიგრაცია. რესპონდენტებს ვკითხეთ თუ რატომ შეაჩერეს არჩევანი გარე მიგრაციაზე. პასუხებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ რამდენიმე მათგანმა ბედი სხვა რეგიონსა და დედაქალაქშიც სცადა, თუმცა სასურველი სამსახური ვერც აქ იპოვა. გარდა ამისა, ისინი სკეპტიკურად არიან განწყობილი სხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისში სამუშაო ადგილების არსებობის მიმართ, ამასთანავე ფიქრობენ, რომ საქართველოში ყველგან შეუსაბამოდ დაბალი ხელფასია.

„ხელფასი დედაქალაქშიც სასაცილოდ დაბალი მქონდა, ქირა კია ძვირი. საკვები გინდა, სხვადასხვა საჭიროებები გაქვს ადამიანს... მანდ ამდენი ფულის ხარჯვას და შეუსაბამო ხელფსზე წვალებას ვამჯობინე უცხო ქვეყანაში მეცადა ბედი. აქ ხელფასი მაინცაა ნორმალური და შრომით უფლებებსაც მეტად იცავენ“–ამბობს 29 წლის ქალბატონი.

რესპონდენტების თქმით გურიაში დასაქმების პრობლემაა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, რის უმთავრეს მიზეზადაც ნეპოტიზმს ასახელებენ. აღნიშნავენ, რომ ნეპოტიზმი, ერთი მხრივ ამცირებს მათი დასაქმების შანსს, ხოლო მეორე მხრივ, იწვევს საჯარო სამსახურების დაკომპლექტებას არაკვალიფიკაციური პირებით, რომლებიც სრულფასოვნად

ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და ვერ ეხმარებიან მოსახლეობას არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში, რაც ადგილობრივების პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს.

არაემიგრანტთა თვალით დანახული მიზეზები - ფოკუს ჯგუფების ანალიზი

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 6 ფოკუს ჯგუფი, თითეულში მონაწილეობდა ხუთ-ხუთი რესპონდენტი. როგორც კვლევის მეთოდოლოგიაშიც აღვნიშნეთ, გამოვყავით ორი დიდი ჯგუფი, ერთში გავაერთიანეთ ადამიანები, რომლებსაც ოჯახის ერთი ემიგრანტი წევრი მაინც ჰყავთ, ხოლო მეორეში- ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრებიც არ არიან ემიგრანტები. თავის მხრივ, თითო მიმართულებაში გამოიყო სამი ასაკობრივი კატეგორია: 18-დან 31 წლამდე, 31-დან 60 წლამდე და 60+.

ექვსივე ფოკუს ჯგუფის წევრები გვესაუბრებიან იმაზე, რომ გურიის რეგიონში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მთავარ მიზეზადაც სწორედ ამას მიიჩნევენ. კონკრეტული მაგალითების მოხმობითა და მათ ირგვლივ არსებული ზოგადი ფონის გათვალისწინებით ამბობენ, რომ ეკონომიკური პრობლემები გამპირობებულია სამუშაო ადგილების ნაკლებობით, დაბალი ხელფასებითა და განვითარების შესაძლებლობის არქონით. ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მიგრანტების მსგავსად, ფოკუს ჯგუფის წევრებიც გამოყოფენ სხვა სახის სოციო-კულტურულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც, მაგალითად უკეთესი ცხოვრების სურვილი, კარიერული წინსვლა, სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ა. შ. თუმცა, იმასაც აღნიშავენ, რომ ეს ფაქტორებიც პირდაპირაა დაკავშირებული რეგიონის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და განვითარების ნაკლებობასთან.

„ადამიანები ქვეყნასა სხვა მიზეზებითაც ტოვებენ, მაგალითად განათლების მისაღებად, ახალი გამოცდილებებისთვის...თუმცა, როცა საქმე შრომით მიგრაციას ეხება, ყველა მიზეზს ეკონომიკურ მდგომარეობასთან მივყავართ. საქართველოში რომ იყოს უკეთესი პირობები, კარგი ხელფასი და კარიერული განვითარების შანსი, გურულებსაც და სხვა კუთხის შვილებსაც უფრო ნაკლებად მიიზიდავდათ სხვა ქვეყნა.“- ამბობს 22 წლის გოგონა.

მიგრანტთა ოჯახის წევრებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში უმეტესად აღნიშნავდნენ, რომ მათი ოჯახისთვის მიგრაცია ერთადერთი გამოსავალი იყო, ვინაიდან საერთო

მცდელობების მიუხედავად, ვერ მოახერხეს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ვერც სოფლის მეურნეობით და ვერც კერძო სექტორში დასაქმებით. ახლა კი ემიგრანტი ოჯახის წევრის თანადგომის შედეგად, მათ მდგომარეობას გაუმჯობესებულად მიიჩნევენ, ახერხებენ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, საბანკო ვალდებულებების გადახდას და ახალი ნივთების შეძენასაც.

ფოკუს ჯგუფების ყველა წევრს ერთხელ მაინც უფიქრია გურიის რეგიონის დატოვებაზე და ქვეყნიდან წასვლაზე, თუმცა გამოიკვეთა, რომ ამაზე გაცილებით ხშირად ფიქრობენ ემიგრანტების ოჯახის წევრები, ვინაიდან მას შემდეგ რაც მიგრაციამ გააუმჯობესა მათი ეკონომიკური მდგომარეობა, უფრო მეტი შეიტყვეს საზღვარგარეთ არსებული სერვისებისა და ანაზღაურების შესახებ, ადგილობრივი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულად და უიმედოდ ეჩვენებათ, სწორედ ამიტომ ამჯობინებენ ოჯხის წევრთან წასვლას. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ ოჯახის წევრი დაეხმარებათ სამსახურის პოვნაში, იქაურ ცხოვრებასთან შეჩვევაში, ამიტომ ეს ნაბიჯი მათთვის უფრო მარტივი იქნება. წევრთაგან ორი ადამიანი გვიყვება, რომ წასვლას უახლოეს მომავალში გეგმავს და მზადების პროცესიც უკვე დაწყებული აქვს. აღსანიშნავია, რომ ისინი მიგრაციას უფრო კონკრეტულად აღწერენ, წარმოიდგენენ როგორც ხსნის გზას, აქცენტს აკეთებენ დადებით შედეგებზე, ხოლო ის ჯგუფები, რომლებსაც არ ჰყავთ მიგრანტი ოჯახის წევრი, შედარებით უფრო სკეპტიკურად და შიშით უყურებენ მიგრაციის საკითხს, ხაზს უსვამენ იმ რისკებს, რაც ოჯახის წევრების განშორებას და ემოციურ დანაკარგს მოაქვს. მიუხედავად სკეპტიკური დამოკიდებულებისა, მართალია შედარებით ნაკლებად, თუმცა ეს ჯგუფებიც აფიქსირებენ ქვეყნის დატოვების სურვილს, თუმცა მათ ემიგრანტების ოჯხის წევრებისგან განსხვავებით, არ აქვთ გადაწყვეტილი როდის გადადგამენ ამ ნაბიჯს. მიუხედავად ამისა, თანხმდებიან იმაზე, რომ არსებული ვითარების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, მათაც მოუწევთ მშობლიური რეგიონისა და ქვეყნის დატოვება. მაშასადამე, ფოკუს ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიგრანტთა ქსელი ნამდვილად მუშაობს, ემიგრანტების ოჯახის წევრებს მეტად უადვილდებათ ქვეყნის დატოვება, თუმცა ამის საჭიროებას სხვა ჯგუფებიც ხედავენ.

დისკუსიისას გარკვეული განსხვავებები გამოიკვეთა ასაკობრივი თვალსაზრისითაც, კერძოდ, 18-დან 31 წლამდე წევრები მეტად გამოთქვამდნენ მიგრაციაში წასვლის სურვილს, ამის მიზეზად კი ასახელებდნენ იმას, რომ გურიის რეგიონში ახალგაზრდებისთვის განვითარების პერსპექტივა ფაქტობრივად არ არსებობს. ამ ასაკობრივი კატეგორიის 10 წევრიდან 3 უმაღლეს განათლებას იღებს სხვა ქალაქში, თუმცა გურიაში დაბრუნებას არ აპირებს, რადგან იცის, რომ მიღებულ ცოდნას ვერ გამოიყენებს, მეტიც, ქვეყნის დატოვებაზეც ფიქრობს, ვინაიდან კარიერული წინსვლის იმედი არც დედაქალაქში აქვს. 2 წევრს აქვს პროფესიული განათლება, თუმცა მათი თქმით, ვერ ახერხებენ შესაფერისი სამუშაოს პოვნას. ქვეყნიდან წასვლის სურვილს გამოთქვამენ 31-დან 60 წლამდე კატეგორიის წევრებიც, ისინი ძირითად მიზეზებად არა საკუთარი წარმატების სურვილს, არამედ ოჯახის, შვილების ფინანსურ კეთილდღეობას ასახელებენ. 60+ კატეგორია ამბობს, რომ ხშირად უფიქრია წასვლაზე, თუმცა მიიჩნევს, რომ სამუშაოს პოვნა ქვეყნის გარეთაც გაუჭირდება, ბევრ პრობლემას გადააწყდება და ამ შიშის გამო თავს იკავებს.

მხარდაჭერის ნაკლებობა და ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი

ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად ირკვევა, რომ დასახელებულ მიზეზებთან დაკავშირებით რესპონდენტები ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობას აყენებენ, ვინაიდან უმეტესი მათგანი განპირობებულია სწორედ მათი მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არსებული ინიციატივების განხორციელება ადგილობრივ დონეზე, საკმარისი არ აღმოჩნდა მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, სწორედ ამიტომ მაუწიათ/უწევთ ქვეყნის დატოვება. უმეტესი მათგანი გვეუბნება, რომ ხელისუფლება არ იღებს სათანადო ზომებს უმუშევრობისა და დაბალი ანაზღაურების პრობლემის მოსაგვარებლად, როგორც რეგიონში, ისე ზოგადად ქვეყნის მასშტაბით.

გამოკითხულებს დავუსვით კითხვა, თუ ძირითადად რა პრობლემების მოგვარება შეამცირებს შრომითი მიგრაციის მაჩვენებელს. ისინი მიიჩნევენ, რომ გურიაში ყველაზე დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას, მაგალითად საწარმო ქარხნების დაარსებას. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა სოფლებში, სადაც

ობიექტების სიმცირის გამო დასაქმება კიდევ უფრო ჭირს. მოსახლეობა უმეტესად დროებითაა დასაქმებული, სტაბილური სამსახური ძირითადად მხოლოდ მასწავლებლებს, ბაღის აღმზრდელებსა და საჯარო მოხელეებს აქვთ. მრავალფეროვანი სამუშაო ადგილებით არც მუნიციპალიტეტები გამოირჩევა, აქ მოსახლეობა ძირითადად მაღაზიებში, ბაზრობაზე და მშენებლობაზეა დასაქმებული.

მხარდაჭერის საჭიროებაა ინფრასტრუქტურის კუთხითაც, ბუნებრივი აირის, წყლის, გზებისა და სხვა სახის პრობლემები არაერთ შრომისუნარიან მოქალაქეს უშლის ხელს სტაბილური შემოსავლის გაჩენაში, მაგალითად ტრანსპორტირების სირთულის გამო ადამიანებს არ უღირთ თუნდაც სოფლებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრებში სამსახურის ძიება. ემიგრანტები ფიქრობენ, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრარული მეურნეობის განვითარებას, რისთვისაც უნდა არსებობდეს მეტი მხარდამჭერი პროგრამა, რაც წაახალისებს მათ სამეურნეო საქმიანობას და დაეხმარება მცირე ბიზნესს. აუცილებლად მიიჩნევენ ტურიზმის სფეროს განვითარებასაც, ვინაიდან ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძვრები მოახდინოს გურიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური იქნება მცირე ბიზნესებისა და სტარტაპების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ გურიის მოსახლეობის გასაძლიერებლად არსებობს რამდენიმე სახის მხარდამჭერი პროგრამა, თუმცა მეორე საკითხია ამ პროგრამების ეფექტურობა. ერთ-ერთი ასეთია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც მიმართულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, ხოლო თანხა გამოიყოფა მაცხოვრებელთა რაოდენობის მიხედვით და მინიმუმ 10 000-ს, მაქსიმუმ კი 20 000 ლარს შეადგენს. შესასრულებელი პროექტების თაობაზე გადაწყვეტილებას სოფლის მაცხოვრებლები კრებაზე იღებენ, თუმცა 2024 წლის კრებების ოქმებში ნათლად ჩანს, რომ გურიის სოფლებში ჩატარებულ კრებებს სულ რამდენიმე ადამიანი ესწრება, შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება არ გამოხატავს უმრავლესობის სურვილს. ამის თაობაზე კითხვა დავუსვით ჩვენს რესპონდენტებსა, როგორც უმეტესობა გვპასუხობს, ისინი აღნიშნული კრებების მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილი და არ ესწრებიან, ვინაიდან იგი სოფლის საერთო მდგომარეობას ვერ ცვლის. გარდა ამისა, ზოგჯერ მათ ყურამდე ვერც აღწევს ინფორმაცია დაანონსებული კრების შესახებ.

აგრეთვე, „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ ხორციელდება “თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა”, რომელსაც გამოკითხულები არაეფექტურად მიიჩნევენ. პროგრამის მიხედვით, თუ ბენეფიციარს გააჩნია „0,2 ჰა-დან არაუმეტეს 3 ჰა-ს ჩათვლით თხილის ბაღ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ქულით 1 ჰა თხილის ბაღზე დაანგარიშებით, 1 ქულა=1 ლარს, თხილის ბაღ(ებ)ის თითეულ ასეთ ბენეფიციარზე“. აღნიშნულიდან ჩანს, რომ მაქსიმლური დახმარება 500 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად მხოლოდ სასუქით უზრუნველყოფს გლეხს, არადა მოსავლის მოვლას ბევრად მეტი რესურსი სჭირდება, მათ შორის შესაწამლი ტექნიკა, საწვავი და სხვა.

მიგრაციის მიზეზები ადგილობრივი მედიის ფოკუსში „გურია TV”-ისა და „გურიანიუსის“ მაგალითზე

ვინადან კვლევის ამოცანაა შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზების მედიაში ასახვის შესწვლა, ყურადღება გავამახვილეთ არამხოლოდ იმ მასალებზე, რომლებიც უშუალოდ შრომითი მიგრაციის საკითხს ასახავდა, არამედ იმაზე, თუ როგორ შუქდება რესპონდენტთა მიერ გამოყოფილი ის პრობლემები, რომლებიც მათი თქმით გარე მიგრაციას განაპირობებენ. მიკერძოება მედიასაშუალებას სუბიექტურსა და არაკრიტიკულს ხდის, რაც ხელს უშლის სინამდვილის ობიექტურ ასახვას. თვისებრივი კონტენტ-ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ შერჩეული მედიასაშუალებები არ ავლენენ მიკერძოებას რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ, შესაბამისად საკვლევი მასალები კრიტიკულად და მიუკერძოებლადაა მომზადებული. ქვემოთ უფრო კონკრეტულად წარმოგიდგენთ მიღებულ შედეგებს.

“გურია TV” -ზე ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო სურათი დაგვხვდა, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ იგი ნამდვილად ორიენტირებულია ლოკალურ კონტექსტზე და არსებული პრობლემების გაშუქებაზე, რაც გაშუქებული თემებით დასტურდება. საკვლევ მასალებში არ შეინიშნება არათუ მხოლოდ მიკერძოება, არამედ არც სხვა მკვეთრი ეთიკური დარღვევები. კონკრეტულად შრომითი მიგრაციის შესახებ ძირითადად გვხვდება ნიუსები, მაგალითად *„საქართველოს მოსახლეობის 23% უცხოეთში ემიგრაციაშია წასული-PMCG“, „შრომითი მიგრაცია და ამ ჭრილში არასრულწლოვნების ფსიქოემოციური მდგომარეობა-*

ახალი კვლევის პრეზენტაცია ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში“ და სხვა. არაერთი ნიუსია იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც რესპონდენტები მიგრაციის მიზეზებად გვისახელებენ, თუმცა განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ გარდა ნიუსებისა, მრავლადაა სიღრმისეული მასალებიც, რომლებიც გარდა საინფორმაციო გამოშვებისა, სხვადასხვა გადაცემის ფარგლებშიცაა მომზადებული.

კონტენტ ანალიზმა აჩვენა, რომ „გურიაTV“ ხშირად ინტერესდება ადგილობრივი პრობლემებით და გვთავაზობს სიღრმისეულ მასალებს, როგორც კონკრეტული სოფლისა თუ დასახლების მაგალითზე, ისე ზოგადად არსებული გამოწვევებისა და გადაჭრის გზების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე ცალკე გრაფადაა გამოყოფილი სოფლის მეურნეობა, რომელშიც განსაკუთრებით მრავლადაა მასალები თხილისა და ციტრუსის შესახებ, მაგ: *„რატომ არ გადის ექსპორტზე ევროპაში ქართული მანდარინი?“, „წელს მოსავალი 30-34%-ით ნაკლები იქნება-ნარინჯისფერი რთველი იწყება“, „რა განაპირობებს ქართული თხილის დაბალ ფასს-შეფასება“* და სხვა. აღნიშნული მასალები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ რესპონდენტებმა აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობა მიგრაციის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად დაასახელეს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი მასალების მთავარი მესიჯი ძირითადად გახლავთ ის, რომ გურულებს სოფლის მეურნეობის, უმუშევრობის და ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვთ, ყოველივე ეს კი მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, რაც თავისთავად მიგრაციასაც იწვევს, შესაბამისად მოსახლეობა საჭიროებს დახმარებასა და მხარდაჭერას. მედიასაშუალება ხშირად აყენებს ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხსაც.

ზემოთთქმულს კარგად ასახავს 2024 წლის 26 სექტემბერს გასული მასალა *„უმუშევრობა და მიგრაციის პრობლემები გურიაში, სექტორთაშორისო თანამშრომლობა და გამოსავლის გზების ძიება-სრული სურათი განსჯისთვის“*-სიუჟეტი იწყება და სრულდება წამყვანის ტექსტით, იგი სვამს საკითხს და აყენებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რომელმაც *„მზაობა პრობლემაზე ღიად სასაუბროდ ჯერ-ჯერობით არ გამოთქვა“*, მოცემულია ადგილობრივების გამოკითხვაც, რომლებიც უმუშევრობას მიგრაციის მთავარ მიზეზად ასახელებენ. მთავარ პრობლემებად გამოყოფილია დაბალი ანაზღაურება და

ამასთანავე კვალიფიკაციური კადრების სიმცირეც. მაყურებელი ისმენს გამოსავლის ძიების გზებსაც, მგალითად იმას, რომ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში შეუძლია პროფესიულ კოლეჯში სწავლა, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან უკან დაბრუნებულ მიგრნტებს. მასალის მიზანია გვაჩვენოს სრული სურათი, მიაწოდოს მაყურებელს ინფორმაცია იმ შესაძლებლობებზე, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ.

მსგავსი მაგალითია 2023 წლის 26 ოქტომბერს გასული თოქ-შოუ „თქვენთან ერთად“, მასალის სახელია *„უმუშევრობა და დასაქმების შესაძლებლობები გურიის რეგიონში“*, წამყვანი სვამს პრობლემას და მაყურებელს აცნობს, რომ გურიაში დასაქმების დონე არადამაკმაყოფილებელია, იგი გამოირჩევა ანალიტიკური კითხვებით. სტუდიაში მოწვეულები არიან სტუმრები ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტის დამფუძნებელი და პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტის“ დირექტორი. პრობლემის მიმოხილვის გარდა ეთერიდან მაყურებელი იგებს ევროკავშირის ინიციატივით შექმნილი პროგრამების შესახებ, მაგალითად ერთ-ერთი ასეთია „უნარები დასაქმებისთვის“, აგრეთვე მოცემულია ინფორმაცია, თუ რა პროფესიების შესწავლას შეძლებს მსურველი კოლეჯში, რომელი პროფესიაა მოთხოვნადი გურიაში და როგორ შეუძლია დასაქმება. გთავაზობთ შესწავლილი მასალებიდან კიდევ რამდენიმეს ცხრილის სახით, რაც აგრეთვე წარმოდგენილი მიგნებების მაგალითებია.

თარიღი	**გადაცემა**	**სახელი**	**მთავარი მესიჯი**
19.11.2024	„გურიის მოამბე“	„რას ფიქრობენ გურიაში?-სოფლის მეურნეობა“	მეურნეობის განსავითარებლად მოსახლეობა ხელისუფლების დახმარებას საჭიროებს
16.09.2024	„გურიის მოამბე“	„როგორ აფასებენ მოქალაქ-ეები ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას ოზურგეთ-ში და რა პრობლემები აწუხებთ მათ“	გურიის რეგიონის ბიუჯეტის მთავარ პრიორიტეტად ყოველ წელს ინფრასტრუქტურა სახელდება, მიუხედავად ამისა ამ მხრივ რეგიონში მრავალი პრობლემაა.

14.08.2024	„გურიის მოამბე“	„ნახევარი კილომეტრიდან მომაქვს წყალი“–უწყლობის პრობლემა სოფელ შემო-ქმედში“	მოსახლეობა წყლის ჭის იმედადაა, სოფლის რწმუნებული კითხვაზე, თუ როდის მოგვარდება პრობლემა, პასუხს არ სცემს.
29.01.2024	„ანტიბიო-ტიკი“	„შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა ბავშების სოციალურ და მენტალურ განვითარებაზე“	შრომითი მიგრაცი მნიშვნელოვანი პრობლემაა, მშობლების ემიგრაცია აისახება ბავშვის განვითარებასა და აღზრდაზე.
26.11.2023	თოქ შოუ „თქვენთან ერთად“	„მუნიციპალური ტრანსპორტი ოზურგეთში“	დაპირებების მიუხედავად ოზურგეთში ტრანსპორტი კვლავ პრობლემურია.

შრომითი მიგრაცია „გურიაNEWS”-ის ფოკუსშიც ხვდება. მედიასაშუალება მიუკერძოებლად, ეთიკის დაცვით აშუქებს, როგორც კონკრეტულად მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე რეგიონში არსებულ იმ პრობლემებს, რომლებიც გარე მიგრაციის მიზეზებად დასახელდა. „გურიაNEWS”-ზე, „გურიაTV”-ის გადაცემების მსგავსი მასალები არ გვხვდება, რაც მისი ბეჭდური ფორმატიდან გამომდინარეობს, თუმცა მიუხედავად ამისა, მედიასაშუალება არ შემოიფარგლება მხოლოდ ნიუსებით და არაერთ სიღრმისეულ, ანალიტიკურ სტატიას გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ იგი გამოირჩევა კრიტიკული მიდგომით, რაც პასუხისმგებელი პირებისთვის კრიტიკული კითხვების დასმასა და არსებული მონაცემების კრიტიკულ განხილვაში გამოიხატება. მასალების ძირითადი მესიჯია ის, რომ მოსახლეობას, ხელისუფლების დაპირებების მიუხედავად, მრავალი სახის პრობლემა აქვს, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, უმუშევრობა და ზოგადად ეკონომიკური პრობლემები კი შრომით მიგრაციას იწვევს.

ზემოთ წარმოდგენილი მიგნებების დასტურია მაგალითად 2024 წლის 12 დეკემბერს განთავსებული სტატია *„მიგრაცია და სამუშაო ადგილების არარსებობის მოჯადოებული წრე-დასაქმების პოლიტიკა რეგიონებში“*- მასალა შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს, ეკონომიკის

ექსპერტების, ჩოხატაურის მერის მოადგილისა და თავად მიგრანტების მოსაზრებებსაც. მისი მიზანია აჩვენოს მკითხველს, რომ რეგიონში მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ძირითადად სამუშაო ადგილების არარსებობითაა გამოწვეული. სტატია ეხება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს და აყენებს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს. მსგავსი მაგალითია 2023 წლის 12 თებერვლის სტატია *„როგორ ვიყიდოთ ათმეტრიანი?, 180 ლარად ღირებული „სეტკა"?!–სოფლის მცხოვრებლების პრობლემები"*– რომლიდანაც ვიგებთ, რომ მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზეა, უჭირთ საკვების შეძენა, საყანე ფართობების შეღობვა და მოსავლის სარგებლიანად გაყიდვა. სტატიაში მოცემულია ადგილობრივების ვრცელი კომენტარები, საიდანაც ირკვევა, რომ მათ სოფლის მეურნეობის კუთხით დახმარება სჭირდებათ, სწორედ ესაა მასალის მთავარი მესიჯიც, ხოლო ადრესატი კი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელთა მიმართაც რესპონდენტები უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამენ. რამდენიმე მსგავს მაგალითს გთავაზობთ ცხრილის სახითაც:

თარიღი	**სახელი**	**მთავარი მესიჯი**
24.06.2024	„სასიცოცხლო საჭიროება სოფლებში– „მასალების შეძენა ბეტონის გზისთვის"	მრავალი პრობლემის მიუხედავად, ოქმე–ბის მიხედვით, უმეტეს სოფელში ბეტონის გზისთვის მასალების შესყიდვას ითხოვენ. კრებებს ყველა სოფლიდან რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა, ანუ ეს გადაწყვეტილება არ ასახავს უმრავლე–სობის სურვილს.
23.06.2024	„არსებული ფორმით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ოთხი პრინციპიდან ვერც ერთს ვერ პასუხობს"	პროგრამა არ იძლევა პრიორიტეტული საჭიროებების გამოკვეთის საშუალებას, კრებებზე არ ტარდება კენჭისყრა და გადაწყვეტილებებს მერიები იღებენ.
30.05.2024	„კურორტის ინფრასტრუქტურა დენის, გაზის, კანალიზაციის, წყლის გარეშე"	დაპირებების მიხედვით გომის მთა ზამთრის კურორტიც უნდა გამხდარიყო, თუმცა კურორტზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა უარესდება.

20.07.2023	„სოფლის განვითარების პრობლემები გურიაში: „ახლა ჰაერივით საჭიროა მაგალითების შექმნა“	ადრე გურიაში ციტრუსი და ჩაი მთავარი შემოსავლის წყარო იყო, ახლა რესურსები სწორად არ არის გამოყენებული, მაგალითად მცენარე ტუნგი.

ორივე მედიასაშუალების მასალების განხილვის შემდეგ ჩანს, რომ ისინი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ რეგიონში არსებულ პრობლემებს და ხშირად აკავშირებენ მიგრაციასთან. პრობლემების გამოვლენისა და მათზე საუბრის გარდა, ცდილობენ გააგებინოს აუდიტორიას იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც მცირედით მაინც გაიუმჯობესებენ მდგომარეობას. კონტენტ-ანალიზის შედეგად გამოვლენილ მიგნებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ზოგადად შრომითი მიგრაციის საკითხებს, ისე მოსახლეობის მიერ დასახელებულ გარე მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს საკვლევი მედიასაშუალებები აშუქებენ კონკრეტული ფრეიმებით, მათი საერთო მიზნებიდან და მსგავსი მესიჯებიდან გამომდინარე ორივე მედიასაშუალების გაშუქებაში გამოვლინდა საერთო ჩარჩოები. გთავაზობთ გამოყოფილ ფრეიმებს:

1. უმუშევრობა- მიგრაციის გამომწვევის მთავარი მიზეზი

2. მოსახლეობის საჭიროებები

3. მხარდაჭერის ნაკლებობა

4. დახმარების აუცილებლობა

5. ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა

6. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა

7. პრობლემების მოგვარების გზები.

ამრიგად, ნათლად იკვეთება მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნების ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ყურამდე მიტნის მცდელობები, შესაბამისად ადგილობრივებმა რეგიონული მედია ერთგვარ შესაძლებლობად უნდა მიიჩნიონ, კიდევ უფრო მეტად გამოიყენონ საკუთარი ხმის გასავრცელებლად, იმ პრობლემებზე სასაუბროდ, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია შრომითი მიგრაციის მაჩვენებლის შესამცირებლად.

თავის მხრივ, "გურიაTV" და "გურია NEWS" კიდევ უფრო მეტად უნდა გააქტიურდნენ, აკონტროლონ ვითარება, მრავალჯერ გააშუქონ ერთი და იმავე პრობლემები, მანამ სანამ მდგომარეობა სასიკეთოდ არ შეიცვლება. ამგვარი მიდგომა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან გაშუქებით გამოწვეული მცირე ეფექტები აკუმულირდება და საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს.

დასკვნა

საბოლოოდ, გურიაში შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლამ აჩვენა, რომ რეგიონის დატოვების უმთავრესი მიზეზი ეკონომიკურია და სამუშაო ადგილებისა და ანაზღაურების სიმცირეს უკავშირდება. რესპონდენტები გამოყოფენ სხვადასხვა სექტორში არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც მათი თქმით მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს განაპირობებენ. რაც შეეხება მედიის შესწავლას, კონტენტ-ანალიზმა გამოვლინა, რომ საკვლევი მედიასაშუალებები დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც რესპონდენტთა მიერ გამოყოფილი პრობლემების გაშუქებას, ისე ზოგადად შრომითი მიგრაციის საკითხს. უფრო კონკრეტულად, ჩვენი მთავარი მიგნებები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- რესპონდენტები თანხმდებიან, რომ მიგრაციის მთავარი მიზეზია უმუშევრობა და დაბალი ანაზღაურება, დასაქმების პრობლემები, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. დასაქმება თანაბრად უჭირთ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირებს. შესაბამისი სამსახურები არ არსებობს არცერთი ასაკობრივი კატეგორიისთვის, თუმცა განსაკუთებით ამ დაბრკოლებას 60 და მეტი წლის ადამიანები აწყდებიან. გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სხვა ქალაქსა თუ სოფელშიც ვერ იპოვიდნენ სამუშაო ადგილს შესაბამისი ანაზღაურებით, ამიტომ დატოვეს არამხოლოდ რეგიონი, არამედ ქვეყანა.
- გურიის რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა სტაბილური სამსახურების არარსებობა, მოსახლეობა ძირითადად დროებითაა დასაქმებული თხილისა და ციტრუსის სეზონზე, აგრეთვე საკურორტე ზონებში. შესაბამისად, განსაკუთრებულ მხარდაჭერას ისინი სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით საჭიროებენ.

- აგრარულ მეურნეობას, რომელსაც გურიის ეკონომიკური გაძლიერება შეუძლია, სათანადო ყურადღება არ ექცევა. მოსავლის მოვლის სირთულე, პროდუქტის დაბალი ფასი და სათანადო მხარდაჭერის არარსებობა ამ სექტორის დასუსტებას განაპირობებს. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ არსებული ინიციატივები მათ შორის "თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა" არაეფექტურია და ბოლომდე ვერ პასუხობს ადგილობრივების მოთხოვნებს.
- რეგიონში მწვავედ დგას ინფრასტრუქტურული, კერძოდ კი ტრანსპორტირების, გაზიფიცირების, წყალმომარაგებისა და ენერგომომარაგების პრობლემები, რომელთა არსებობასც მოსახლეობას სამუშაო ადგილების მოძიებაში კიდევ უფრო მეტად უშლის ხელს. "სოფლის განვითარების პროგრამა" არ არის სათანადოდ ეფექტური.
- პრობლემურად ხასიათდება ტურიზმის სექტორიც, რაზეც უარყოფითად აისახება ინფრასტრუქტურული პრობლემებიც. გარდა ამისა, მოსახლეობას უჭირს საკურორტე ზონებში მცირე ბიზნესების განვითარება.
- რესპონდენტები აყენებენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხის-მგებლობას, მიიჩნევენ, რომ არსებული პრობლემების მოგვარება და შესაბამისად, შრომითი მიგრაციის მაჩვენებლის შემცირება შესაძლებელია, თუმცა ამისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.
- გარდა ეკონომიკურისა, რეგიონის დატოვებას აქვს სხვა სოციო-ფსიქოლოგიური მიზეზები, როგორიცაა უკეთესი ცხოვრების სურვილი, სერვისების ხელმისაწვდომობა, კარიერული განვითარება და ა. შ. თუმცა, ეს ფაქტორები ეკონომიკურთან შედარებით იშვიათია და ამ მიზეზებსაც ადგილობრივ პრობლემებთან და არსებული ვითარებით უკმაყოფილებასთან აკავშირებენ. აგრეთვე ეფექტურად მუშაობს მიგრანტთა ქსელიც, მიგრანტთა ოჯახის წევრები მეტად გამოთქვამენ ქვეყნის დატოვების სურვილს.
- ადგილობრივი მედია დიდ ყურადღებას უთმობს საკითხის ასახვას და მას კონკრეტულ ფრეიმებში ათავსებს. მედიასაშუალებები ხასიათდებიან საკვლევი თემის მიუკერძოებლად, ეთიკურად გაშუქებით, რომელიც ძირითადად მიმართულია საზოგადოების პრობლემების წარმოჩენასა და ხელისუფლების პასუხისმგებლობის დაყენებისკენ.

საკითხის შესწავლით გამოიკვეთა, რომ გურიის რეგიონისთვის შრომითი მიგრაცია მართლაც მწვავე პრობლემას წარმოადგენს, მოსახლეობა საჭიროებს მნიშვნელოვან კომპლექსურ მხარდაჭერას ინფრასტრუქტურის, აგრარული მეურნეობის, ტურიზმის, მცირე ბიზნესების ხელშეწყობისა და რაც ყველაზე მთავარია სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა

კალანდაძე ნ (2010), *შრომითი მიგრაცია, შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა,* თსუ, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი

ტუხაშვილი მ, ჭელიძე ნ (2021), *შრომითი მიგრაცია,* თსუ, თბილისი

ჭელიძე ნ (2005), *საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია,* თსუ, თბილისი

Benesch, Ch (20019), *Media coverage and immigration worries: Econometric evidence,* Journal of Economic Behavior &Organization 160, 52-67

Entman R. M. (1993), *Framing: Toward clarification of a fractured paradigm,* Journal of communication 43(4), 51-58

Goffman E (1974), *Frame analysis: An essay on the organization if experience*, Harvard University Press

Hutton, C (2024) *"The causes of labour migration"*

IOM (2024) *"World Migration Report 2024"*

ILO (2022) *"World Employment and Social Outlook: Trends 2022"*

ILO (2016) *„Labour migration in Central and Eastern Europe"*

ILO (2021) *„Strong recovery and the same labour market challenges as befire the pndemc"*

Palmaru, R (2005), *The accumulation effect.* Nordicom Review 26(2) 35-52.

Palat, M (2011) *"Economic Causes and Consequences of international Migration of Labour", Mendel University*

Stocer, P (1978), *The New Economics of labour migration*, Blackwell Publishers, Oxford

Yaohui, Z (2003), *The role of migrant networks in labour migration: The case of China,* Contemporary Economic Policy 21 (4), 500-511 pp